№ 25 თებერვალი 1, ხუთშაბათი 1890 თებერვალი 1, ხუთშაბათი № 25

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

„ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

კვირას, 4 თებერვალს,

ბენეფისი

კ. ს. მესხისა.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან

წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა:

რუსთაველი

ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა.

რუსთაველის როლს აასრულებს

კ. მესხი.

მოთამაშენი: ქ-ნნი ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

„წერა-კითხვის" წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი"-ს**

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი [illegible] უნდა იკისროს.

პარასკევს, 2 თებერვალს,

„იტალიის ბაღში"

გამართული იქნება ჭიდაობა ცირკის ბრგე და ღონიერ კაცს სტუპანსა და ტფილისის მოჭიდავე კულა გლდანელს შორის. ვინც დაამარცხებს, იმას ჯილდოდ 100 მანეთი მიეცემა. ბრგე გერმანი ატლეტისებურ ვარჯიშს აჩვენებს საზოგადოებას.

იჭიდავებენ მოკრივე ტომი და დანილენკო და აგრეთვე სხვა მოჭიდავენიც. ამას გარდა საჭიდაო ადგილას მოვა დირექტორი ცირკისა თავისის შვილის სპილოთურთ.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზედ.

(1—1)

ახალი ამბავი

⁂ თეატრების სეზონი თავდება და არტისტებმაც მოუხშირეს თავიანთი ბენეფისები, რომ შემდეგისათვის უკეთესი შთაბეჭდილება დაუტოვონ საზოგადოებას. ქართულს თეატრში 4 თებერვალს, კვირას, ბენეფისია არტისტის კ. მესხისა. სამშაბათს, 6 თებერვალს, ბენეფისი იქნება არტისტის ქალის გაბუნია-ცაგარლისა. ბ-ნი მესხი თავის ბენეფისში დასდგამს ახალს პიესას „რუსთაველი", თავის თხზულებას. ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, როგორც შევიტყვეთ, თავის ბენეფისში აპირობს დასდგას ახალი პიესა ბ-ნ ა. ცაგარლისა: „ქართველი დედა", თუ რაიმე დაბრკოლება არ აღმოუჩნდა. თუ ეს პიესა ვერ მოხერხდა, მაშინ ამოარჩევს რასმე თავის რეპერტუარიდგან.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნ ალნიაშვილს სიმღერების ნოტებად დასაწყობად მიუწვევია ბ-ნი ივანე თევდორეს ძე სარაჯიშვილი, რომელსაც უკვე დაუწყვია ნოტებად რამდენიმე სიმღერა და მათ შორის ისეთი ძნელებიც, როგორიც არის „ზამთარი" ანუ „მეფეო შენსა". ამასთანავე, როგორც გავიგეთ თვით იპოლიტოვ-ივანოვისაგან, ჩინებულად არის თურმე ეს სიმღერები გადაღებული. ბ-ნი სარაჯიშვილი ჯერ სრულიად ახალგაზდა კაცია და საკმაოდ არის ცნობილი ტფილისის საზოგადოებაში, როგორც საუკეთესო ვიოლონჩელის დამკვრელი. სწავლა აქვს დამთავრებული მოსკოვის კონსერვატორიაში და დღეს ტფილისის სამუსიკო სასწავლებელშია მუსიკის მასწავლებლად. ეხლა ბ-ნ ალნიაშვილს, რადგან ასეთი კარგი სიმღერების ნოტებად დამწყობი კაცი უშოვია, მარტყოფიდგან დაუბარებია მომღერლები და უნდა, რომ ძველებური დიდი სიმღერებიც ნოტებად დააწყობინოს.

⁂ მზრუნველმა სასოფლო მეურნეობის სკოლისამ სოფ. წინამძღვრიანთ-კარში ბ-ნმა ი. წინამძღვრიშვილმა ეხლა-ხან მიიღო ეჩმიაძინიდგან ერთის არხიეპისკოპოსისაგან სასარგებლოდ სკოლისა ორი თუმანი და მასთან საყურადღებო წერილი. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეხლანდელ ქართველთა და სომეხთა მდგომარეობას ნათლად ჰხატავს თავისს წერილში და ამბობს, რომ იმათი კეთილდღეობა და წარმატება მაშინ იქნება მკვიდრი, როდესაც ისინი ყოველ კეთილ საქმეში ძმებსავით ერთად იმუშავებენ და იღვაწებენ.

⁂ [illegible], რომ ამ მოკლე ხანში დაიწყებენ დიდის ტაძრის აშენებას გუნიბის მოედანზე. ამ ტაძრის აშენება დიდი ხანია გადაწყვეტილია. საძირკველიც კარგა ხანია ნაკურთხია და ამშენებელთა კომისიაც არსებობს აგერ რამდენიმე წელიწადია. მთავრობას ამ ეკკლესიის ასაშენებლად გადაუდვია ნახევარ-მილიონი ფული, 500,000 მან. კომისიაში თავმჯდომარე, ორი წევრი, ხუროთ-მოძღვარი და საქმეთ-მწარმოებელი. თავმჯდომარეს დანიშნული აქვს წელიწადში 3,000 მან., წევრებს თითოს 1,500 მან., ხუროთ-მოძღვარს ზალცმანს 1,200 და საქმეთ მწარმოებელს 600 მან.

⁂ გუშინ-წინ, 30 იანვარს, საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იყო ოპერა «ებრაელი ქალი», მუსიკა ჰალევისა, და მესამე მოქმედება „ერნანისა", მუსიკა ვერდისა. წარმოდგენა დანიშნული იყო დირიჟორის ბარბინის საბენეფისოდ. ბ-ნმა ვანდერიკმა ავადმყოფობის გამო მხოლოდ ერნანის როლი შეასრულა. ელეაზარის როლი იმღერა ვერდის ოპერაში ბ-ნმა ვილბრუნმა. მობენეფისემ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიიღო.

⁂ გუშინ, 31 იანვარს, ტფილისის სახელმწიფო ქონებათა გამგემ, ბ-ნმა მ. ვ. მაჩაბელმა, გადასცა ქალაქს „ალექსანდრეს ბაღი" თანდასწრებით პოლიციის წარმომადგენლისა და ქალაქის მოხელეთა. უეჭველია, ქალაქის თვით-მმართველობა ეხლავ შეუდგება ბაღის გამშვენიერებას და გაზაფხულზე ისეთს ფერს მისცემს, რომ მცხოვრებთ ერთი რიგიანი სასეირნო ადგილი მაინც ჰქონდეთ შუა-გულს ქალაქში.

⁂ როგორც გვწერენ, რკინის გზის სადგურ წიფაში ძრიელ გახშირებულა ძარცვა-გლეჯა და ქურდობა. ავაზაკები იქამდე გათამამებულან, რომ დღისითაც-კი აღარავის ინდობენ, თუ-კი ჩაუვარდათ ხელში. საკვირველია, რომ ადგილობრივმა პოლიციამ აქამომდე ვერ ალაგმა ქურდები.

⁂ სამარყანდი: 22 იანვარს აქაურს თეატრში ითამაშა ქართულის თეატრის არტისტმა ბ-ნმა ვ. ალექსი-მესხიშვილმა. იმისმა თამაშობამ აღტაცებაში მოიყვანა სამარყანდის პატარა საზოგადოება და, რასაკვირველია, ქართველობა უფრო მეტად გაასიამოვნა. არტისტმა წაიკითხა „შეშლილის წერილები", თხზულება გო-

ფელეტონი

საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

(საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი", № 1)

(დასასრული*)

ვაჟა-ფშაველას ნაწერს შემდეგ, „ჯეჯილის" მეორე ძვირფასი მარგალიტია „ღვთის შვილი" ქ-ნ ეკ. გაბაშვილისა. პატივცემული ავტორი გვიამბობს ისეთ ამბავს, ჩვენის ცხოვრების ისეთს გარემოებას, რომელიც თითოეულს ჩვენგანს დიდიდგან პატარამდის გვინახავს, გვიგრძვნია და შეგვიბრალებია ისინი, ვის არა-სა ნუგეშო ბედსაც გამოუწვევია ამ ამბის დაწერა.

მართლა-და ვინ არ შეხვედრია ჩვენ ქალაქ-დაბა-სოფლებში ყვავილისაგან დამახინჯებულს, დაკენკილსა და მხედველობას მოკლებულს აშუღებს, რომელნიც ხელით დაჰყავთ დუქნიდგან-დუქნამდე, ოჯახიდგან-ოჯახამდე და დილიდგან დაწყებული საღამომდის ძალ-ძალად, უგულოდ, და საცოდავის ხმით გაჰკივიან თუთიყუშივით უაზროდ დაზეპირებულს ლექსებს, ვინ იცის, სადაურს, ან როგორს ჰანგზედ. ავტორს მშვენიერის, გრძნობით სავსე სიტყვებით, მარტივის ფრაზებითა და ადვილად გასაგების ენით აქვს აწერილი ეს ამბავი. განსაკუთრებით ის ადგილია კარგი, სადაც ავტორი დარჩუას ხელობას აგვიწერს ისეთის კილოთი და ისეთის სინამდვილით გვიხატავს საბრალო ობოლ და ბრმა ლექსოს ტანჯვა-წვალებას, სასტიკ სასჯელისა და ცემა-ტყეპის ატანას, ძალით ჩონგურისა და სიმღერების დასწავლის დროს, რომ სწორედ ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, საბრალო ბრმა მეჩონგურე არ შეეცოდოს და შეძლებისადა გვარად დასახმარებლად ხელი არ გაუწოდოს. ავტორი უნებლიედ ჰბადავს გრძნობას სიბრალულისა და გულკეთილობისას მკითხველთა შორის.

ამ ქალბატონის თითქმის ყველა ნაწერს ერთი დიდი ღირსება აქვს. ეს ღირსება გახლავთ მოთხრობის ამბების სინამდვილე, ხალხის ცხოვრების ცოდნა, იმის ვარამისა და გულის კვნესის გაგება. ყველა ამას გაუზვიადებლად, მარტივად მოგვითხრობს ეს ბელეტრისტი-ქალი. ესეთი თვისება, რასაკვირველია, ყოველის მწერლისათვის აუცილებელი საჭიროებაა, მაგრამ უმეტესად-კი საყმაწვილო მწერლებს უნდა ჰქონდეთ მიმადლებული.

ამბავი „გიგლიას სიზმარი შობა ღამეს" გვიხატავს იმ სიხარულს, იმ სიამოვნებითა და აღუწერელ აღტაცებით შობის დღესასწაულის მიგებებას, რომელსაც ჰგრძნობენ გლეხის ოჯახის წევრნი და განსაკუთრებით ყმაწვილები შობა ღამეს. ყმაწვილების აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა აქვს. მზა-მზარეული ხორაგეულობა: შემწვარი და მოხარშული ქათმებ-გოჭები, დამზადებული შობისათვის, ყმაწვილებს არ აძინებს. ხორაგეულის დანახვაზე „ნერწყვი მოსდით პირში და მსუნაგ კატასავით ტუჩებს აცმაცუნებენ", მაგრამ დედის სიტყვები სწამთ, დედის დარიგება გულში სწვდებათ. დედა ეუბნება: „ამაღამ ქრისტე დაიბადება, ცა გაიხსნება და, თუ პირ-გაუხსნელი იქნები, რასაც ინატრებ, აგისრულდება". ამ გვარი დარიგება დედისა გლეხის ოჯახში სრულიად ნამდვილს გარემოებასა ჰგავს და ადვილი დასაჯერებელია, რომ ეგ აგრე უნდა იყოს ყველგან გლეხ-კაცობის ოჯახობაში.

ეს პატარა ამბავი ზნეობის მხრითაც შესანიშნავია, რადგან ასწავლის ყმაწვილს მშობლების მაღალ პატივის-ცემას, მორჩილება-გაგონებასა და განუსაზღვრელს სიყვარულს. პატარა გიგლიას იქამდის უყვარს თავისი მამა, რომ შობა ღამეს არც შემწვარი გოჭი ახარებს და არც მოხარშულ ღორის ხორცისაკენ იცქირება, იმიტომ-რომ თავისი საყვარელი მამა შინ არა ჰყავს. მამის მოსვლას ელის, მამის ფიქრშია გართული და აი ამ ფიქრით მოღალულს მიელულება თვალები და გიგლია ძილს ეძლევა. გიგლია სიზმარში მამასა ჰხედავს, მაგრამ ვაი იმისთანა ნახვას. მამა მწყემსია და თხა მცხვარს უდგია. ერთი თხა მაღალ კლდეზედ ავიდა. გიგლიას მამაც უკან გამოედევნა და დაბრუნება უნდოდა, მაგრამ უცბად თხა მოუბრუნდა გიგლიას მამას, დაეჯახა და უფსკრულს კლდეში გადაჩეხა. ამის მნახველი გიგლია შეწუხებული შესძახებს ძილში: „ვაიმე, მამილოვო!", გამოეღვიძება და თავის საყვარელს მამას-კი დაინახავს. გიგლიას ახლა-კი სწორედ ბედნიერი შობა უთენდება, რადგან მამა მოუვიდა მშვიდობით.

ეს ამბავი კარგის ენით არის მოთხრობილი. ყმაწვილები დიდის სიამოვნებით წაიკითხავენ, რადგან ყოველი გარემოება იმისი ადვილი წარმოსადგენია, ადვილად [illegible], და ნამდვილ ცხოვრების ამბებს-კი ყმაწვილები საზოგადოდ დიდის სიამოვნებით ეტანებიან, თუ ჰნახეს წიგნში.

ქ-ნ ეკ. გ—ის მოთხრობას მოსდევს ბ-ნ ალ. ჰ—ძის ისტორიული წერილი „თეზეოსი". ეს წერილი იმდენად უადგილოდ და უდროოდ მიგვაჩნია, რომ უსათუოდ უნდა ვიკითხოთ: რა აზრი ჰქონდა ბ-ნს ავტორს, რომ ამოდენა ნახტომი უქნია? იმ დროს, როდესაც ჩვენის ცხოვრების წარსული სავსეა ამ გვარის ისტორიულ გმირებით, იმ დროს, როდესაც ჩვენი, არამც თუ მოზარდი თაობა, დიდებიც არ იცნობენ ჩვენს ისტორიულს გმირებს, არ იციან იმათი ვაჟკაცობა, მამაკაცობა და ქველობა, ბ-ნი ჰ—ნაძე უცხო ქვეყნის—საბერძნეთის ისტორიულ გმირების ამბებს გვიწერს და გვასწავლის. ეს იმასა ჰგავს, რომ მეგრელს ჰკითხეს:

— მეგრელო, ყური სად გაბია?

— აი, ყურიო,—მიუგო მეგრელმა და თან მარჯვენა ხელი მარცხენა ყურზედ მოიკიდა.

---

*) ი.ხ. „ივერია" № 24.

გოლისა, სცენა არტისტის ცხოვრების შესახებ, და იმღერა კუპლეტები.

⁂ სოფ. საბუე (თელავის მაზრა): საბუეს გლეხობასა და თთ. ჯორჯაძეებს შორის კვლავ გაჩნდა უსიამოვნობა ისევ ძველ სადაო მთაზე, რომლის გამოც დიდი ხანია რაც სწარმოებს ამათ შორის გამწვავებული დავა და საჩივარი და რომელიც ამ ორის წლის წინად დაბოლოვდა თ. ჯორჯაძეების სასარგებლოდ. რადგანაც ეს ახლად დაბადებული უსიამოვნება აქაურმა მთავრობამ ვერ გაანელა გლეხთა და თავადთა შორის, ამისათვის ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით გამოგზავნილ იქმნა ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერიშვილი, რომელსაც თელავში დახვდა ხუთმეტ გლეხამდე სოფ. საბუეს გლეხების წარმომადგენლებად. ბ-ნ ლ. ჯანდიერიშვილმა გლეხებს შესაფერი დარიგება მისცა და ურჩია, რომ დაწყნარებულიყვნენ და საქმე მშვიდობიანად დაებოლოვებინათ. 26 იანვარს თ. ლევან ჯანდიერიშვილი წავიდა საბუეში და მას აქეთ იქ არის.

⁂ თელავი: აქ აპირობენ ჩით-კა[illegible] გამართვას მომავალის „ქართულ დედათა სკოლის“ სასარგებლოდ. მართალია, თელაველებმა ცოტა გვიან გამოიღეს ბამბა ყურებიდგან, მაგრამ ნათქვამია: „სულ არ ყოფნას, გვიან იყოს, ისა სჯობიანო“. სასურველია, რომ მომავალ ბალის მოთავეებმა უკეთ წაიყვანონ საქმე, ვიდრე „წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის“ სასარგებლოდ გამართულ ბალის საქმე იყო წაყვანილი.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოუვიდა ყარსში გამართულ წარმოდგენიდამ შემოსული 124 მან., რომლის ნახევარი დანიშნულია წინამძღვრიანთკარის სკოლისთვის. გამგეობა „საზოგადოებისა“ გულითადს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც თავის დახმარებით ხელი მოუმართა წარმოდგენის უკეთ მოწყობისათვის და განსაკუთრებით იმათ, ვისაც წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღია, სახელდობრ: ქ-ნთ მ. ლ. კიკნაძისას, ნ. მ. გიუმურელისას და ბ-ნთ: ი. ლ. ბაქრაძეს, ზ. დ. მამულოვს, ზ. ი. ჯანდიერს, მ. ტ. მუსხელიანს, მ. ნ. ბეჟანოვს, ნ. მ. გრიგოლაშვილს, დ. ი. კიკნაძეს, ნ. ზ. დევდორიანს, ს. ქ. გიუმურელს, პ. ე. ასტახოვს, გ. ო. აბამელიქოვს, ვ. ა. ბეზჩასტნის და ბ. კაზლობინს.

⁂ იანვრის 30, პოლიციის მეცხრე ნაწილში, სპარსეთის ქვეშევრდომმა ქერბალაი-ჰაჯი-ალა-აბდულ-ოღლიმ მოჰპარა ოც-და-ხუთ მანეთად ღირებული სამოვარი ნაპოდ-პოლკოვნიკავარს დიმიტრი ივანოვს, მაგრამ პოლიციელმა ყოლობოვმა მოასწრო ქურდს, შეიპყრო და სამოვარიც წაართვა.

◆◆

ქართული თეატრი

ხათაბალა, კომედია ოთხს მოქმედ. გრ. სუნდუკიანცისა.

გუშინ-წინ, 30 იანვარს, ქართულის დრამატიულ დასის არტისტებმა ბ-ნ გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგინეს ჩვენს სცენაზედ არა ერთხელ დადგმული და წარმოდგენილი სუნდუკიანცის პიესა. ეს პიესა კარგად ჰხატავს ჩვენის ვაჭრების ცხოვრებას, და ჩვენს საზოგადოებას ძალიანაც უყვარს, თუმცა საშაბათს წარმოდგენაზედ ხალხი მეტად ნაკლებად დაესწრო.

საერთოდ წარმოდგენას არა უშავდა-რა, თუმცა ესევე კომედია უფრო საუკეთესოდ გვინახავს წარმოდგენილი ჩვენს სცენაზედ ჩვენისავე არტისტების მიერ. როლები თითქმის ისევე იყო განაწილებული, როგორც ადრე [illegible] იმ განსხვავებით, რომ ზამბახოვის როლი, რომელსაც ყოველთვის გ. ყიფიანი თამაშობდა, ესლა ვ. აბაშიძემ შეასრულა, ხოლო აბაშიძეს ნათამაშევი ისაიას როლი-კი მოზენეფისეს ეკისრა.

რამდენადაც აბაშიძე ზამბახოვის როლში სუსტობდა, ორი იმდენად ისაია იყო სუსტი და მკრთალი. არტისტებს ეტყობოდათ, რომ რეპეტიციებით ერთმანეთში არ შეთანხმებულიყვნენ, როგორც თვით ხამფერა ამბობს, არტისტებს სათამაშო ერთმანეთშა კარგად ვერ „შეეკოწიწებინათ“. აბაშიძემ თავისს როლს კიდევ ნიჭის იერი და ფერი დასდო, მეოთხე მოქმედებაში ერთ ალაგას რომ ერთიან არ შეეშალა სცენა. სააფიშოში შემწუხებულს ისაიასთან ლაპარაკის დროს ზამბახოვს, იმის მაგიერ, რომ მოეტყუებინა და ეთქვა, მარგარიტა დავსვი ფანჯარაზედ და ვამღერებო, ორჯელ ნატალიას სახელი წამოსცდა. ბ-ნი გედევანოვა-კი ერთიან მკრთალობდა და ნასახიც ვერ წარმოგვიდგინა იმ ისაიასი, რომელსაც აბაშიძე ისეთის სავსებითა და სისრულით წარმოგვიდგენს ხოლმე.

საფაროვის ქალმა ჩვეულებრივ ეშხიანად ჩაატარა ნატალიას როლი და არა უშავდა-რა მელიქოვისასაც დუხჭირის მარგარიტას როლში, თუმცა უფრო მოხუცებულის გრიმი გაეკეთებინა, ვიდრე დუხჭირისა და გონჯის ქალისა. გაბუნიას ქალმა ჩვეულებრივ შეასრულა ხამფერას როლი და არა უშავდა-რა აგრეთვე ჩერქეზიშვილისას გიორგის დედის როლში. ბ-ნი კ. მესხი თვით გიორგის როლსა თამაშობდა და ეტყობოდა, რომ არტისტი როლის უფერულობით მეტად გაჭირებული იყო და არ იცოდა რა ხასიათი დაედო ამ უხასიათო როლისათვის

მ—ძე

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სიღნაღი, 26 იანვარი. წავიდა ძველი წელიწადი, დაგვიდგა ახალი, მაგრამ რა მოგვიტანა სიღნაღელებს? მაგდენი არაფერი. ძველმა წელმა ახალს სამკვიდროდ ჩააბარა „ხენი“ ხველა-მჭვალა, «ინფლუენციაა», თუ რაღაც ეშმაკი. ესეც სარგებლობს, უსვამს ხელს და [illegible] ხალხს, ნამეტნავად სოფლებში. სიცივეებიც საკმაოა, თუმც თოვლი იმდენი არ მოსულა, რამდენსაც მოველოდდით. სიღნაღის ვაჭრობა დუღს და გადმოდის, რა გინდა, რომ აქ არა ვაჭრობდნენ. აქაური ბაზაზი აღარ ბაზაზობს, ესე იგი ბაზაზობს, მაგრამ ბაზაზიც არის, ბაყალიც, მეჭურჭლეც და ყასაბიც. ბაყალიც ისევე იქცევა და სხვებიც, ერთის სიტყვით, აირია მონასტერი. ამას ჯანი გავარდეს, აკეთებენ ღორის ლორებს და ამ ლორების ნახორ-მახარი ბევრს დუქანში უწყვიათ, ორის კვირისა, სამისა და ოთხისაც, გაშავებული და ჭუჭყიანი და ჰყიდიან. ადამიანი-კი არა, პირუტყვიც არ შესჭამს ამ ხორცს, მაგრამ მაინც ჩვენი დარბაისელი ვაჭრები ასაღებენ უვიც ხალხზე. არც ჩვენი ყასბები ბძანდებიან უმანკო გვრიტები, ისეთს საქონელსა ჰხოცევენ, რომ, ადამიანმა რომ შეხედოს, გული აერევა. თუ გაბედე და უთხარ: „კაცო, პატარა რიგიანი ხორცი მომეო“, დარბაისლურად და თავისებურად გიპასუხებს: „ეა, გასწი, საიდანაც მოთრეულხარ, იქ წაეთრიე და იქ იყიდე ამაზე კარგი ხორციო“.

ამ სიკეთესთან არც ღამის რაინდები გვაკლია. ამ იანვარში გასტეხეს მ. ტერ სტეფანოვის სამზარეულო და გაიტანეს სპილენძეული, მაგრამ შეუტყეს და ნაქურდალი დააყრევინეს, ქურდებმა-კი თავს უშველეს; გატეხეს ერთის მეხილეს დუქანი ციხის კარებში და წაიღეს, რაც კი მოახელეს; ამ დღეებში ბაყალხანაში გატეხეს მიკირტუმ საინოვის დუქანი, გაიტანეს ფუთ-ნახევარი ჩაი და ოცდა-ათამდე თავი შაქარი, მანეთ ნახევარი ფული და ერთი ვერცხლის ბადია; გაუტეხეს დურგალ დიმიტრი შანყულაშვილს დუქანი.

ამას გარდა ულმობელი სიკვდილი არ გვინდობს: უეცრად გარდაიცვალა ა. ლიანოზოვი. დილით ფქვილი იყიდა კაცმა, შებრუნდა შინ და დალია სული. ბაღ. საფაროვი სალსალამათი კაცი ბაზრიდგან შევიდა შინ და განუტევა სული. ეჰ, რომელი ერთი მაგალითი ჩამოგითვალოთ. ქურდები? ეჰ, ქურდებს ვინა სჩივის, ნეტავი გზებს არ გვიიწროვებდნენ-და! საშინლად გაძვირდა ცხოვრების საზოგადო. [illegible] პატარებსა ჰქელავენ და პატარებიც მობეზრებულები შეჰყურებენ. რას იზამთ, ძალა აღმართსა ხნავს. ასეა თუ ისე, მაინც ვებრძვით ცხოვრების ტალღას. ამ ვაი ვაგლახში მყოფთ აღარც წინამძღვრიანთ-კარის სკოლა გვაგონდება და აღარც საქველ-მოქმედო საქმეები და, ასე იფიქრეთ, ჩვენი საკუთარი თავიც კი დავიწყებული გვაქვს.

ქართველი

◆◆

ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“

და

შოთას „ვეფხის ტყაოსანი“

ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი ჯერ-ჯერობით ვიცით ხუთ ვარიანტად. ვრცელი და დამთავრებული ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“ ჩაწერილია ფშაეთში დ. ხ—ლის*) მიერ. ამას გარდა ნაწყვეტები ამ პოემისა შევხვდა „ივერიის“ მე-45 ნომერში (1888 წ.) და მე 224 ნომერში (1887 წ.); ორი ვარიანტიც მე ჩავწერე ყიზლარში (№ 131, 1888 წ.) და ბიწმენდში (№ 165, 1888 წ.). დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ გვარი ვარიანტები კიდევ აღმოჩნდება, თუ გულ-მოდგინედ მოეკიდებით ხელს საერო ნაწარმოების შეკრებას. გადაწყვეტილს სიტყვას საერო და სალიტერატურო „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ ჯერ ვერ წარმოსთქვამს მწერლობა. ამ ხანად არ შეიძლება გარდაწყვეტილ იქმნას, რა ურთიერთობაა ხელოვნებით დაწერილ პოემასა და ხალხში დარჩენილ ტარიელის ამბავს შორის.

მაინცა და მაინც ეს საგანი იმდენად საინტერესოა, რომ ვბედავ რამდენიმე მოსაზრება განვუზიარო მკითხველს. თუ არ დაიზარებთ და გადაათვალიერებთ ცნობილს ვარიანტებს, დარწმუნდებით, რომ ვრცელის და ნაწყვეტ ვარიანტებ შორის დიდი მსგავსება და კავშირი სჩანს. მოგეხსენებათ, რომ ლექსს უფრო ადვილად და დიდხანს იხსომებს ხალხი, ვიდრე ამბად ნათქვამს, ანუ პროზას. ეს ჭეშმარიტი აზრი მართლდება ტარიელის ზღაპრის შესახებაც. აი ის ლექსი, რომლითაც იწყება ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“:

„ტარიელა დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე;
თუ ჩემი ქალი გინდოდა,[1])
რატომ არ შემატყობინე“.

ერთი და იგივეა ზემოხსენებულ ვარიანტებში. ნაწყვეტ ვარიანტების შინაარსს შეერთება უნდა იმ მოთხრობით, რომელიც ვრცელ ვარიანტში იპოვება. მაშინ მიეცემა აზრი და მნიშვნელობა იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლექსებსაც. კავშირი ლექსთა შორის პროზით ყველგან არ დარჩენილა,

---

*) იხ. „ივერია“ 1888 წ. №№ 230, 231.

[1]) „გიყვარდა ნესტან, დარეჯან“ სხვა ვარიანტებში:
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რად არა შემატყობინე.
ვეფ. ტყაოსანი, ტ. ფოტ.

ერთი ჰკითხოს კაცმა: განა მარჯვენა ხელთან მარ[illegible] [illegible] რო ახლოს არ იყო?!

რასაკვირველია, ყმაწვილებისათვის საჭიროა საბერძნეთისა და სხვა შესანიშნავ ქვეყნების ისტორიულ გმირების გაცნობა, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი და დრო გააჩნია. ამ გვარი წერილი-კი, ჩვენის აზრით, ჯერ ძალიან ადრეა და პირველ ნომერში მაინც. სრულიად არა აქვს ადგილი.

რომელ ყმაწვილის მეხსიერებას შეუძლიან დაიხსოვოს ისეთი ენის მომტეხი და გამოსათქმელ-დასასწავლელი სიტყვები, რომლითაც სავსეა ეს წერილი. აი მაგალითად: ეგეას, თრეზენი, პითეას, ეფრა, ერეხთეს, ეპიდავრი, პერითეტი, კრომიონის ტახი, სკირონი, კორინთის ყელი, პროკრუსტი, მარათონი, ლაბირინტი და მრავალნი კიდევ სხვანი.

წერილს ეტყობა შემუშავება, მაგრამ ალაგ-ალაგ გრძელი წინადადებანია და მაღალ-აზროვან ფრაზების გამო ძნელი საკითხავია ყმაწვილებისათვის.

ქ-ნ ეფ. ჭ—ძის წერილი „ჭინჭველები“ სამეცნიერო წერილია. საზოგადოდ სამეცნიერო წერილების წერა ყველას არ შეუძლიან, მეტადრე ყმაწვილებისათვის. ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, ისეთ საეჭვო საგნებს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მეცნიერთაგან გამოკვლეული და დამტკიცებული, რაც შეიძლება ავტორი უნდა მოერიდოს, გვერდი აუაროს. შეიძლება აცნობოს თავის ნორჩ მკითხველებს ის, რაც დამტკიცებულია, რაც უკვე ცნობილია მეცნიერთაგან, და იმ გვარ ფრაზებს-კი საყმაწვილო წერილებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, როგორიც მაგალითად ეს არის: „...რა სახით სცნობენ მტერ-მოყვარეს ჭინჭველები—ყნოსვით, სმენით თუ შეხებით—ეს არ ვიცით“. ეს ფრაზა სულ შეიძლებოდა გამოეტოვა პატივცემულ ავტორს, რითაც წერილის ღირსებას სრულიად არაფერი არა დააკლდებოდა-რა. ამასთან ამ გვარი ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევაც ძნელი მისაწვდენი და დასაჯერებელია ყმაწვილის გონებისათვის: „მამალი ჭიანჭველის რთული თვალი შესდგება 1200 პატარა თვალისაგან. მუშა ჭიანჭველის თვალში-კი 500 პატარა თვალია“ და სხვანი.

— როგორ, თვალში კიდევ თვალია და კიდევ 1200, 500 და სხვანი? იმწამსვე იკითხავს ცნობის-მოყვარე ყმაწვილი.

მოდი და დაუმტკიცე, რომ ეს სწორედ ასეა!?

ერთ ადგილას ავტორი გვიამბობს: „ჭიანჭველას მუცელში აქვს ნაწლევები, კუჭი და სხვანი“. ცოტა ქვევით-კი ამბობს: „ეხლა ჩვენ ვიცით ჭიანჭველების გარეგნობაო“. ჰკუა-გამჭრიახი და თამამი ყმაწვილი მოგახსენებთ, პატივცემულო ავტორო, რომ, არამც თუ გარეგნობა, შინაგნობაც გაგვაცან ზევითო. მაშ ეს ფრაზა სრულიად მეტი და უადგილოა წერილში.

დანარჩენი წერილები ზოგი თარგმანია და ზოგიც სახალხო ნაწარმოებს ეკუთვნის. თარგმანები კარგის ენით არის დაწერილი, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მაინც დაშორებულია და თუ პატივცემული რედაქცია თარგმანს უფრო ნაკლებს ადგილს მისცემს ჟურნალში, ურიგოდ არ მოიქცევა.

რაც შეეხება სახალხო ნაწარმოებს, მათ შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლიან, რადგან ხალხი თავის ნაწარმოებში არჩევს თავის ცხოვრების ყოველ საგანს. იქ ნათლად იხატება მისი გონება, ზნეობა, სარწმუნოება და ქონება-დოვლათი. თავისს ნაწარმოებში ხალხი გვაჩვენებს ნათლად და მკაფიოდ თავისს ცხოვრებას, ხასიათსა და მდგომარეობას. ხალხი ძლიერ იშვიათად შესცდება თავის ნაწარმოებში. საყმაწვილო ჟურნალში რაც მეტი ხალხის ნაწარმოებია, მით მეტის ხალისით იკითხავენ ყმაწვილები.

არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა ჟურნალში მოთავსებულ მხატვრობის გამოც არა ვსთქვათ. საყმაწვილო ჟურნალში ყოველ მხატვრობას, ყოველ სურათს თავისი ადგილი და თავისი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მხატვრობა ჟურნალში თითქმის იგივე თვალსაჩინო სწავლაა. ყმაწვილი რასაც ჰკითხულობს, იმასვე, იქვე გვერდზედ დახატულ სურათზედ ჰხედავს და თვალით ნახულ-გარჩეული ბეჭედივით აჩნდება იმის ნორჩს გონებას. „ჯეჯილში“ თითქმის ყოველ ადგილას წერილების შინაარსის შესაფერი სურათია ჩართული. ერთს ადგილას, მაგალითად, „ბაზალეთის ტბაზედ“ სურათი სწორედ რომ მშვენიერია და სასიამოვნოც, მაგრამ ორი წერილი: „გიგლიას სიზმარი შობა ღამეს“ და „ღვთის შვილი“-კი სრულიად არ შეუფარდებიათ შიგ ჩართულ სურათებისათვის. აი, მაგ., „გიგლიას სიზმარი“. ამ წერილის ბოლოში დახატულია გლეხის დედაკაცი, ზურგზედ შეშა-მოკიდებული, ტყიდგან მოდის და თან პატარა ბავშვი ახლავს. მეორე წერილის დასაწყისში ჩიტის ბუდეა დახატული და ბოლოში-კი შეშით სავსე ურმით გლეხი-კაცი თავის განუშორებელ მეგობრით — მურიათი. არც ერთსა და არც მეორეს სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს წერილის შინაარსთან. ამ გვარის სურათების უაზროდ და უადგილოდ ბეჭდვას უმჯობესია, ჩვენის აზრით, სულ არ დაბეჭდონ და ადგილი ცარიელი დარჩეს.

დასასრულ, სულითა და გულით ვისურვებთ „ჯეჯილის“ წარმატებას, იმის კეთილსა და გონიერს გზაზე დადგომას, აყვავებას, „ოქროს თავთავის დასხმასა და ზღვასავით აღელვებას“, რომ თითოეულს მის მკითხველს გრძნობითა და გაუწითლებლივ შესძლებოდეს შემდეგის სიტყვების წარმოთქმა:

„მომკენ, მოლეწკენ, კალოს პირს
დადგება წითლად ხვავია,
და გაიხარებს გულითა
იმისი დამთესავია“.

თევ. ხუსკივაძე

ან ჯერ არ აღმოგვიჩენია, როგორც როსტომის შესახებ ლექსი სულ ყველგან გვესმის, მაგრამ ვრცელი და დამთავრებული ვარიანტი ორია ამ ჟამად—სვანური და ფშაური. ნაწყვეტები ტარიელისა და როსტომის ამბისა იმდენად ახლოა ერთმანეთზედ, რომ საკმარისია შემაერთებელ ძაფის პოვნა მათ შინაარსის აღსადგენად.

ნათქვამიდამ სჩანს, რომ ლექსები ტარიელის შესახებ ყიზლარში, ფშავეთში, კახეთში, ქართლში შეუცვლელად, ანუ შინაარსის შეურყეველად გადასხვაფერებულია. თუ მივიღებთ მხედველობაში საერო და სალიტერატურო „ვეფხის-ტყაოსნის“ დედა-აზრს, იგი ერთი და იგივეა. ტარიელს უყვარს ნესტან-დარეჯანი[2]), რომელსაც სხვას აძლევენ ცოლად. ტარიელი ბრუნდება გამარჯვებული ომიდგან, საცა დაამარცხა ხატაველები და ნესტან-დარეჯანის მამიდასაგან შეიტყობს, რომ იმისი სატრფო უნდათ ხვარაზმას მიათხოვონ. ხალხურ პოემაში მეფე, მამა ნესტან-დარეჯანისა, უბძანებს ხუროებს: კიდობანი შეჰკრან, ჩასვან ქალი და წყალს მისცენ, რომ ტარიელს არ დაანებოს თავისი ასული.

შოთას „ვეფხის-ტყაოსანში“ ტარიელი ჰკლავს ნესტან-დარეჯანის რჩევით თავის მოქიშპეს. ნესტან-დარეჯანი ჩაუვარდებათ ხელში ქაჯებს, ამათგან იხსნის „ბიძა“ (ბიწმენდულა, ვარიანტით დედაშვილი) ტარიელისა, ავთანდილი. როგორც ჰხედავთ, ამ მოკლედ ნაამბობიდგან ღერო, რომელზედაც ასხმულია რუსთაველისა და საერო „ვეფხის-ტყაოსანი“, ერთი და იგივეა. გეოგრაფიული სახელები—არაბეთი, ქაჯეთი, ხოროსანი, ანუ მომქმედნი პირნი—ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯან, ფრიდონ და მის მამიდა (საერო პოეზიაში უსახელო, შოთას მიერ დაყარად სახელდებული) საერთოა ორივე პოემაში.

ყოველ ამის გამო კაცი უნებლიედ ეკითხება თავის თავს, როგორ აიხსნას ეს ერთ-გვარობა დედა-აზრისა და განსხვავება მის ფორმალურ შემუშავებისა? შოთას პოემამ იმოქმედა ერის მეხსიერებაზედ და დაასწავლა, როგორც ერისგანვე შედგენილი მოთხრობა, თუ საეროდ გავრცელებულმა «ვეფხის-ტყაოსანმა» მისცა მასალა პოეტს ტარიელის ამბავი სალიტერატურო, ხელოვნებით აგებულ ნაწერად გადაექცია?! თუ შოთას „ვეფხის-ტყაოსანმა“ და აჩნია თვის ზედ მოქმედების კვალი საერო ლექსებს, მაშინ რად არის შინაარსით საკვირველი მსგავსება და ფორმით დიდი განსხვავება მათ შორის? აზრი, მოკლედ გამოთქმული ხალხის პოემაში, ხელოვნურ ნაწარმოებში შევსებულია და განდიდებულ-განზვიადებულია. აიღეთ ზევით მოხსენებული ტაეპი ფოჩ შოთასი:

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო
სახლად რად დამადებინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რად არა შემაგებინე.
მე ბერსა შენსა გამზრდელსა
სიცოცხლე მაარბებინე,
დღედ სიკვდილამდე შენიცა
თავი არ მაახლებინე“.

საერო „ვეფხის-ტყაოსანი“ მოკრით გვაცნობებს:

„ტარიელ დაგასვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაშჭობინე;
გიყვარდა ნესტან დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე?
ანუ კიდევ:
რა დავარ გასძლა ცრემლითა,
მისითა დაღურჯებითა,
წარმოჰსდგეს ორნი მონანი
პირითა მით ქაჯებითა;
მათ კიდობანი მოჰქონდათ,
კუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე,
ჰგავს იქა დარაჯებითა.
უბძანა: წადით, დაკარგეთ
მუნ, სადა ზღვისა ჭიპია,
რომ წმინდა წყალი ვერ ნახოს
მყინვარე, ვერცა ლიპია“.

საერო პოემაში:

„მართალსა, შვილო ტარიელ,
ღალატსა გაგაგებინებ,
არც მაგათ მივცემ, არც სხვათა,
შენცა ხელს აგაღებინებ;
ქაჯუეთელსა ხუროებს
კიდობანს ავაგებინებ,
შიგ ჩავსვამ ნესტარ დარეჯანს
ზღვას მივცემ, წავაღებინებ“.

ხალხურ პოემის სიტყვები „ზღვას მივცემ, წავაღებინებ“ შოთას გავრცელებული აქვს: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია, რომ წმინდა წყალი ვერ ნახოს, მყინვარე ვერცა ლიპია“.

შეადარეთ აგრეთვე

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ და სხ.

საერო „ვეფხის-ტყაოსნის“ მოთხრობას:

„ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალი გვანდა გმირსა“ და სხ.

შოთას უფრო დაწვრილებით აქვს აწერილი პირი-სახე, ტანი, ჩასაცმელი, იარაღი ტარიელისა, ვიდრე საერო პოემაში ვხედავთ. პოეტი აძლევს სისრულეს, ხელოვნება თხოულობს აზრის განსაზღვრულ დამთავრებას. ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერო ლექსები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემა ფილოსოფიურის მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღმაფრენით.

ეს საეროვნობა, ნაციონალური მოტივის სახალხო მოთხრობის სალიტერატურო ქმნილებად გარდაქცევა ამაღლებს ჩვენს თვალში შოთა რუსთაველს. იგი უყურებს ხალხურ პოეზიას მოწონზონივით-კი არა, რომელიც საერო ნაწარმოებს უკუ აგდებს და ხელს ჰკიდებს სასულიერო ისტორიის შინაარსის შემუშავებას, არა, შოთა ბევრად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე იმის დროინდელი საზოგადოება. იგი დაჰმღერს საერო ჰანგს, ნაციონალურს მოტივს, ამბობს თავის ნიჭით ხალხში დარჩენილ ამბავს. მსოფლიო ისტორიაში[3]) ამ გვარი შემთხვევა მე-XVII საუკ. გვხვდება: მოლიერი თავის ტარტიუფს სწერს საერო გარდმონაცემთა მიხედვით (Тартюфъ мольера. Изслѣдованіе Алексѣя Веселовскаго). ამ გვარადვე იქცევა და აჩენს ლესინგი ნატან ბრძენს, შექსპირი—ჰამლეტს და სხვებს, გიოტე—ფაუსტს (Куно-фишеръ. Фаустъ). ჩვენი შოთაც, ვგონებ, ამ გზას ადგია. თუ არ ასე, მაშ როგორ აიხსნას, რად გადააკეთა ასე შესამჩნევად ხალხმა შოთას „ვეფხის-ტყაოსანი“ და შოთას პოემაში, რატომ არ არის ზოგზოგი ეპიზოდი, რომელიც ხალხში დარჩენილა. ეს აიხსნება მით, რომ პოეტმა უყურადღებოდ დასტოვა რაც მის დედა-აზრს არ ასურათებდა, ან ძალას დაუკარგავდა.

ერს იმიტომ მოსწონს და უყვარს შოთა, რომ იმის გულიდგან ამოიღო შინაარსი თავის პოემისა. შეიძლება ეს შინაარსი აზიიდამ იყოს გადმოსული და ერში გავრცელებული. ამ შემთხვევაში ერთი მოსაზრება უნდა წარმოითქვას: შემოტანა ტარიელის ამბისა პირადად შეიძლებოდა, რადგანაც ვერ ვხედავ ამ შემთხვევაში ლიტერატურულ გავლენას სხვა ერისას ქართველებზედ. თუ ამაზედ გამოითქმის აზრი ჩვენის ლიტერატურის მცოდნეებისა, მაშინ ვეცდები უფრო დაახლოვებით შევადარო საერო და სალიტერატურო «ვეფხის ტყაოსანი». შეიძლება აზრი საერო და სალიტერატურო ვეფხის-ტყაოსნისა ეკუთვნოდეს იმ ციკლის ნაწარმოებთა, რომელიც აგებულია ესრედ წოდებულ (перехожіе сказанія) მოსიარულე, ანუ მოარულ სიუჟეტზედ, როგორც მაგალითად ჩვენი სოლომონ ბრძენი, სიბრძნე ბალავარისა (Варлаамъ и Іоасафатъ). ამ მოსიარულე ამბავთა შესახებ იხილე ამ საგნის მცოდნესი, აკადემიკოსის ვესელოვსკის სხვა-და-სხვა თხზულებანი (Сказанія о Соломонѣ и Кимоврасѣ, разысканія въ области русскихъ духовнихъ стиховъ. Повѣсти и романы და სხვ.).

რომ საერო ტარიელის ზღაპარი უფროსია ხნით თავის სალიტერატურო მოძმეზედ, ამას ამტკიცებს კიდევ ერთი საბუთი, ჩვენის აზრით, ფრიად საყურადღებო. აქამდის ცნობილ ყველა ვარიანტებში გამოუკლებლად იპოვება ერთი ლექსი. იმ ლექსში დასახელებულია ორი კაცი: ედემ და ომარე.

„ადექით, აიყარენით,
ძმანო: ედემ და ომარე,
ის კაცი აქ მომიყვანეთ,
ვინ არის ველთა მდგომარე“.

„ედემ და ომარე“ შოთას პოემაში არ იპოვება. პოეტმა იმათის სახელების აღნიშვნა საჭიროდ არ იცნო. ამით, რასაკვირველია, იმის ქმნილებას არა აკლდება-რა, მაგრამ შესადარებლად-კი გვაძლევს გამოსადეგ ღონეს. „ედემ და ომარე“ ქართული სახელები არ არის; საცა ტარიელი, ფარსადანი და სხვა იპოვება, იქვე უნდა მოიძებნოს ამ ორ „ძმათა“ სახელიც. თუ შოთას პოემა გავრცელდა ხალხში, მაშინ იმისი სამი უსახელო ძმა უსახელოდ დარჩებოდნენ საერო გარდმონაცემშიაც. მსგავსება ვარიანტების ორი ძმა და კოჭლი მონის შესახებ უეჭველ ჰყოფს იმ აზრს, რომ იგი ეკუთვნის იმ წყაროს, რომელმაც მისცა საზრდო საერო ტარიელის ზღაპარს.

ეს საერთო წყარო ვარიანტებში ხშირად ამღვრეულია სხვა-და-სხვა მომდინარე ტოტების შერევით. ასეთია უკანასკნელად დაბეჭდილი „ივერიაში“ ტარიელის ზღაპარი, გაგონილი ქართლში. იმერეთის მეფისა და „ერთის ქართველ ქალის“ ჩარევა სულ სხვა ციკლიდგან არის. მაინც ამ ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს და ნათელს ჰფენს წინანდელ (ბიწმენდიულ) ვარიანტს.

ამ ვარიანტების ერთმანეთის შედარებას შევუდგები შემდეგს წერილში. მანამ-კი ვთხოვ მცოდნეთ თავიანთი აზრი წარმოსთქვან ამ საგნის შესახებ.

ა. ხახანაშვილი

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. 20 იანვარს პარლამენტის კრებაზე ყურადღება მიიქცია რიბოს ლაპარაკმა. რიბოს ლაპარაკი გამოიწვია ეპისკოპოსმა ფრეპპელმა, რომელმაც სთქვა, რომ სამღვდელოებას ნება აქვს გაერიოს საპოლიტიკო ბრძოლაში. ფრეპპელს უპასუხა რიბომ და ისე უპასუხა, რომ მემარცხენენი იმის პასუხს დიდის სიამოვნებითა და ტაშის კვრით მიეგებნენ. რიბომ სთქვა: პრელატების უმრავლესობა ურჩევდა სამღვდელოებას, პოლიტიკაში ნუ გაერევითო, მაგრამ სამწუხაროდ ეტყობა ყველანი არ მისდევენ ასეთს წესს. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენში არიან ისეთი ეპისკოპოსნი, რომელნიც იმის მაგიერ, რომ დამშვიდებას სცდილობდნენ ერისას, აქეზებენ უიმისოდაც გულ-გაცეცხლებულს ერს ისეთს საქმეში (ისმის ტაშის კვრა), რომელიც სახელმწიფო ინტერესებს არ შეეფერება და დიდად საშიშიც არის როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ეკკლესიისათვისაც (დიდი ტაშის კვრა). ანჟერის ეპისკოპოსს, ეტყობა, არ გაუზომნია ყველა ის საშიში შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს იმის ლაპარაკს, იმის ქადაგებასა და წიგნებს ამ საგნის გამო. ყოველივე მისი მოქმედება საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ არის მიმართული და ამ რევოლიუციას-კი ჩვენ არას გზით არ უარ-ვყოფთ, იცოდეთ, და გამუდმებით ვუერთგულებთ (ტაშის ცემა).

ფრეპელი. ნეტა ვინ ამბობს მაგას? ზომიერი რესპუბლიკელი!

რიბო. დიაღ, სწორედ ზომიერი! (კვლავ ტაშის ცემა) თუ თქვენ გგონიათ, რომ ზომიერება ის არის, როცა უარ-ჰყოფენ უფლებას, შეძენილს უკვდავის 1789 წლის რევოლიუციის წყალობით, იცოდეთ, რომ მაგ შემთხვევაში რესპუბლიკელთა შორის ზომიერნი არ არსებობენ (მემარცხენენი და შუაგულის მომხრენი გაცხარებით უკვრენ ტაშს ორატორს).

კუნეო-დ'ორნანო. 1789 წლის პრინციპების შესახებ ნუ ლაპარაკობთ. იმ პრინციპებს თქვენ მუდამ ფეხ-ქვეშ სთელავთ.

რიბო. იცით ამ ათს წელიწადში რაზე იკლავდნენ თავს ზომიერნი? იმაზე იკლავდნენ, რომ ქვეყნისთვის სარწმუნოებრივი დავიდარაბა და ბრძოლა აეცილებინათ. ძნელი საქმე იტვირთეს, მაგრამ ვაჟკაცურად-კი შეასრულეს. რაკი ერთხელ ვიცავდი კათოლიკეთა ეკკლესიის უფლებას, ვიცავდი მაშინ, როცა ეკკლესია მართლა დაცული იყო, მით უფრო მეტი სიმართლე არა მაქვს გითხრათ ეხლა: კარგად-კი იფიქრეთ და ასწონეთ იმისი შედეგი, რაც შესაძლებელია მოჰყვეს თქვენს ლაპარაკს? თქვენი ყოფნა საშიშია თვით ეკკლესიისათვის. ჩვენ ხელში მორიგების ქაღალდი გვიჭირავს. იმაზე არას ვიტყვი, ამ ქაღალდის ძალით მღვდელი მოხელეა თუ არა, მაგრამ იმ ქაღალდის წყალობით სახელმწიფოსა და ეკკლესიას შორის ისეთი ურთიერთობაა ჩამოვარდნილი, რომელიც თქვენც კარგად უწყით, რომლის დარღვევა თქვენ არა გსურთ და რომლის სიმტკიცე მეც სასურველ საქმედ მიმაჩნია. ხოლო თუ თქვენი აზრი მართალია, თუ მღვდელი მოქალაქეა მარტო და მაშასადამე აქვს ნება ჰკიცხოს და იწუნოს ყველა კანონი ჩვენის ქვეყნისა, არა მარტო კერძო ლაპარაკში, არამედ კათედრიდამაც, იმ კათედრიდამ, რომელიც აღმართულია ყველა სოფელში, ერთის სიტყვით, მღვდელს რომ უფლება ჰქონდეს ჰკიცხოს დაწესებულებანი და კანონები ქვეყნისა, პოლიტიკა გაურიოს რელიგიაში, მაშინ ვიღა გაუწევდა მომხრეობას ზემოხსენებულს ქაღალდს მორიგებისას? თქვენის ლაპარაკით, შესაძლოა ისეთი ღონისძიება მიაღებინოთ მთავრობას, რომელიც ჩემთვის დიდად სამწუხარო იქნებოდა. თქვენ დაცინვით ზომიერი მიწოდეთ და აი, სწორედ იმიტომ-რომ ზომიერი ვარ, მსურს მშვიდობა სარწმუნოებისა, თავისუფლება, შეწყნარება ყოველ გვარის მოძღვრება აღსარებისა. მე არ მინდა ის შეუძლებელი, დაუნდობელი უსიამოვნება, რომელიც შესაძლოა ასტყდეს ეკკლესიასა და იმის მოწინააღმდეგეთა შორის. არ მინდა და ვევედრები კიდეც ყველა კეთილგონიერს, აგვარიდოს ის უბედურება. თქვენ-კი თქვენის ლაპარაკით, იმით, რომ ჯიბრით, ნიშნის მოგებით ლაპარაკობთ, თქვენ არ ემსახურებით სარწმუნოებრივს მშვიდობიანობას. მე-კი სწორედ მაგ მშვიდობიანობას ვთხოულობ. მე მინდა, რომ მღვდელი დამოუკიდებელი, პატივცემული იყოს, მაგრამ ამასთანავე ისიც მინდა, რომ უფლებანი სამოქალაქო მთავრობისანა დაცულ იქმნას, ანდერძნი ჩვენის ქვეყნისანი—ხელ-უხლებელ, აღდო, გენიოსობა საფრანგეთის ერისა—მხედველობაში მიღებულ. ერთის სიტყვით, მე მინდა, რომ მღვდელი პოლიტიკას მოშორებული იყოს (ისმის დიდი ტაშის კვრა).

◆◆

წვრილი ამბები

ლონდონის ყრუ-მუნჯთა თავშესაფარში ამას წინად გაუმართავთ მეტად საინტერესო სათეატრო წარმოდგენა. დოქტორს ელლიოტს, უფროსსა და მასწავლებელს ყრუ-მუნჯთა სასწავლებლისას, გადმოუკეთებია და შეუმოკლებია შექსპირის ტრაგედია რიჩარდ III, რომელიც ყრუ-მუნჯ შეგირდებს თავისის მასწავლებლის ხელმძღვანელობით წარმოუდგენიათ. ამ წარმოდგენას დასწრებიან დიდ-ძალნი წარჩინებულნი ლონდონისანი და მათ შორის ლორდმერი თავის მეუღლითურთ. ახალგაზდა არტისტები თავის როლს მშვენივრად ასრულებდნენ და მონოლოგებსაც მეტად მკაფიოდ წარმოსთქვამდნენ. როცა დასასრულ ერთი ჭაბუკი მოთამაშეთაგანი გამოვიდა სცენაზედ და საზოგადოებას შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ლაპარაკი გაიგეთ, და მოგვიტევეთ, თუ ისეთის სავსებით ვერ მოვასრულეთ წარმოდგენა, რადგან უფალმა ღმერთმა ის ბედნიერება არ მოგვანიჭა, რომ თქვენის ნალაპარაკევის გაგონება შეგვძლებოდაო“, ყველა იქ მყოფს ცრემლები მოერია ამ გულწრფელ სიტყვებზე. რაღა თქმა უნდა, არტისტებს ყველა დიდის ყურადღებით ეკიდებოდა და ყველა სცდილობდა დაერწმუნებინა ყრუ-მუნჯნი, რომ საზოგადოება ძალიან მადლობელია იმ სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენმა თამაშობამ აგრძნობინაო.

---

[2]) დარეჯანი ერთ გმირულ პოემშიაც გვხდება: ამირან დარეჯანიძე. ეს სახელი დარეჯანი ამ გვარად ორ პოემასთან არის დაკავშირებული.

[3]) არ მინდა ჰომიროსი მოვაგონო მკითხველს.

— ედისონის ხელქვეითთ თავისს ნათესავებთანა და მახლობლებთან ფონოგრაფის შემწეობით აქვთ თურმე მიწერ-მოწერა გამართული. ესენი ფონოგრაფს ჩასძახებენ ხოლმე, რაც-კი დასაბარებელი და შესათვლელი აქვთ თავისიანებთან, შემდეგ იღებენ წმინდა სანთლის ფირფიტას და სახლში ჰგზავნიან, სადაც ფირფიტას კვლავ ფონოგრაფშივე სდებენ და ყველა შინაურნი იკრიბებიან ფონოგრაფის ნალაპარაკევის მოსასმენად. ამას წინად ერთმა ხელქვეითმა ედისონისამ, თავის შინ არ ყოფნისას, ფირფიტა რომ გაუგზავნა თავისიანებს, თავისის საყვარელ ძაღლის მოკითხვაც მოინდომა თურმე და ამიტომ ფონოგრაფში ჩაუსტვინა. როცა იმისმა ოჯახობამ ფირფიტა მიიღო, ჩვეულებისამებრ ყველანი შეიყარნენ მოსასმენად. ძაღლიც იქვე იწვა და მშვიდად იყო, ვიდრე ფონოგრაფი შემოთვლილს სიტყვებს ამბობდა. მაგრამ აგერ ფონოგრაფმა შემონათვალი სტვენაც განიმეორა, დაუსტვინა თურმე და ამ სტვენაზედ იქვე მშვიდად მწოლიარე ძაღლიც მაშინვე ფეხზედ წამოვარდა, კარებს ეცა და ყველგან თავისს პატრონს ეძებდა. ეს ძაღლი ძლივს დაამშვიდეს თურმე შინაურებმა, მთელი დღე გაგიჟებულსავით დარბოდა აქეთ-იქით.

— პარიჟში გამოსულა უშველებელი თხზულება რუმინიის დედოფალ ელისაბედის შესახებ, იმ გამოჩენილ მწერალ დედაკაცისა, რომელიც კარმენ სილვას ფსევდონიმითა სწერს. ეს თხზულება ე. სერჟეს დაწერილია.

— ედისონს ამერიკელ ქალებისაგან მთელი ეპისტოლე მიუღია. ქალები სწერენ ედისონს, რომ ელექტრონის სინათლეზედ ქალები თავის წლოვანებაზედ უფრო ხნიერნი და ფერ-მკრთალნი სჩანან და გთხოვთ ისეთი რამ საშუალება გამოიგონოთ, რომ ეს უხერხულობა აგვაშოროთ თავიდგანაო. ედისონმა დიდის ყურადღებით გადიკითხა თურმე ეს ეპისტოლე და ხუთის დღის უკან შეუთვალა იმ ქალებს, რომ ეხლა ერთს საქმეს ვადგევარ, რომელიც მაგ სატკივარს წამლად დაედება, მანამდე-კი, ჩემის აზრით, ელექტრონს მოწითალო ფერის სახურავი გაუკეთეთ და ქალებს სახე უფრო მშვენიერი გამოგიჩნდებათ, ვიდრე სხვაო.

— გერმანიისა და ჰოლანდიის საზღვრად მყოფს პაწია ქალაქს რეინდალენში სცხოვრობს თურმე ამ ჟამად ერთის კამერუნელის მფლობელის შვილი, თხუთმეტის წლის პრინცი აკვა. პრინცს ასწავლის იქაური მასწავლებელი შულტე, რომელსაც რამდენიმე წელიწადი უცხოვრია აფრიკაში. ვერაფრად უნდა სწავლობდეს ეს ჭაბუკი, რადგან როცა ერთხელ უკითხავთ, რომ შენს ქვეყანაში რა გაუკეთესებას შემოიღებ, როცა ჩაიგდებს ხელში უფლებასაო, პრინცს უპასუხნია: „ბრძანებას გავცემ, რომ ყველა კამერუნის მცხოვრები ევროპიელები შავად შეჰღებონ, რათა ჩვენგან აღარაფრით განირჩეოდნენო“.

◆◆

დეპეშა

30 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომ გამოიცეს ექვსის რიგის სერია 18 მილ. მან.

გრაფის ვალუევის დასაფლავებაზედ ბრძანდებოდა: დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე. კუბოზედ დიდ-ძალი გვირგვინი ეწყო.

ტიკინისა და სათამაშოთა გამოფენა და 11 იწყება მარტს. სულ 150 ექსპონენტია.

ლონდონი. სეფე სიტყვაში, პარლამენტის დაწყების დროს, ნათქვამი იყო, რომ საზღვარ-გარეთის სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვსო, და ნახსენები აგრეთვე ის ამბავიც, რომ შეიარაღებული პორტუგალია აფრიკას შეესიაო. იმედია გამოთქმული, რომ ბრიუსელის კონფერენციას მონობის საქმეს კეთილად დაბოლოვებსო. შემდეგ სეფე-სიტყვა ირლანდიის მდგომარეობის გაუკეთესებასა და განკარგებას შეეხება.

ვენა. „Neue Freie Presse“-ში ნათქვამია, რომ პანიცა და დანარჩენი იმის მოზიარე აფიცრები სამსახურიდგან დათხოვნილ და სამოქალაქო სამართალში მიცემულ იქმნანო.

ბერლინი. „Nord Deutsche Allgemeine Zeitung“-ი ამბობს, რომ, საფრანგეთსა, ინგლისსა, ბელგიასა და შვეიცარიას გარდა, მოლაპარაკებაა გამართული მუშათა საქმის საერთაშორისოდ გადაწყვეტის შესახებ აგრეთვე იტალიასა, დანიასა და შვეციასთანაო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი.

	მყიდველისა.		გამყიდველისა.		გაყიდულისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	„		„	7	31
ტამოჟნის კუპონები . .	—	„		„	146	
მანათიანი ვერცხლის ფული	1	08	—	„	—	„
5% პირველის შინაგანის ხესხის მომგები ბილეთი	240¼		—	„	—	„
—მეორისა	—	„	—	„	230	
—მესამისა . . .	—	„	—	„	218¾	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი — უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

1 დღე ხუთშაბათი. ქართველ. წინა დღესასწაული მირქმისა უფლისა იესო ქრისტესი და წმ. მოწამის ტრიფონისა. კათოლ. წმ. მოწ. იგნატი ეპისკოპოსისა. სომეხ. წმ. ეპისკ. ვოსკიანცთა. მზე ამოდის 6 საათ. 58 წუთ., ჩადის 5 საათ. 30 წუთ. ჭეშმარ. ტი შუა დღე 12 სა თ. 14 წუთ. მთვარე 23 დღისაა.

2 დღე პარასკევი. ქართველ. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. კათოლ. მირქმა უფლისა. სომეხ. წმ. ეპისკ. ათანაგენისა. მარხვაა. მზე ამოდის 6 საათ. 57 წუთი. ჩადის 5 საათ. 32 წუთ. ჭეშმარიტი შუადღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 24 დღისაა.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 7 თებერვალს 1890 წლისას ამ ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლებში, საჯაროდ იქნება გაყიდული უძრავი ქონება არტემ იაგორის ძის სათასაზოვისა. ეს ქონება იმყოფება ქ. ტფილისის მე-10 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, და შეადგენს: ორ-სართულიანს ქვითკირის სახლს სარდაფებით, მეზონინით და ფლიგელით, ერთს სართულიანს სახლს სარდაფითა და მეზონინით, ერთ-სართულიანს სახლსავე და ხეხილიანს ვენახს, ზომით 2317 69/200 ოთხ-კუთხს საჟ. ამ მამულის საზღვრები წვრილად არის აღნუსხული და აღნიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის დაგირავების მოწმობაში, რომელიც დაწერილია 1882 წ. 24 სექტემბერს და № 1579 უზის. ვაჭრობა დაიწყება 37,719 მანეთისა და 36 კაპეიკით. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ პირობათა წვრილად შეტყობა ყოველ დღე ბანკის სამმართველოში.

(3—1)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საცავში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა	„	25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . .	„	60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა:	1	„
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა	1	„
მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“	„	20
ქართული თეატრი, ვ. გუნია ი . . .	„	40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა . .	„	15
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა	„	10
ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . .	„	30
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. .	„	50

გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვისა და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული
ვალერიან გუნიას მიერ
გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა სწავლა-განათლება, წყარონი საკურნომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში — საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვ. თარხნაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში — სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, სამოქალაქო-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ე—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებააღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქყელის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ძისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12	თთვით . . .	10 მ.	—კ.	6	თთვით. . .	6 მ.	—კ
11	„ . . .	9 „	50 „	5	„ . . .	5 „	25 „
10	„ . . .	8 „	75 „	4	„ . . .	4 „	70 „
9	„ . . .	8 „	— „	3	„ . . .	3 „	50 „
8	„ . . .	7 „	25 „	2	„ . . .	2 „	50 „
7	„ . . .	6 „	50 „	1	„ . . .	1 „	75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз Тифлисъ 31-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаев а уголъ Баровской и Лорисъ Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე